წერილის ნომერი:**12-37230395**
თარიღი: **08/02/2023**

ადრესატი:

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარის 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩთვლით.

საანგარიშო პერიოდში ვხელმძღვანელობდი საქართველოს კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით. მიმაჩნია, რომ ვარ აქტიური . კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ვმონაწილეობ საკრებულოს მუშაობაში, რომელიც არაერთ ნოვაციას ნერგავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მეტად საპასუხისმგებლო საქმეში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი მზაობა მოქალაქეთა ჩართულობის, ინფორმირების, კონსულტაციების და აქტიური მონაწილეობის მიმართულებით. ყოველივე ზემოთქმული ჩემი, როგორც საკრებულოს კომისიის თავჯდომარის მუშაობას უფრო საინტერესოს ხდის. ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა ვიყო საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. აღნიშნული კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც საქმიანობს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს დებულებით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 22 სხდომა(აქედან ერთი ერთობლივი სხდომა).სხდომებზე სულ განხილულ იქნა 39 საკითხი.

კომისია მუშაობდა კომისიის მიერ დამტკიცებული დებულებისა და 2021 წლის 16 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ წარმოდგენილი იყო18 დასკვნა, რომლებიც წარგენილ იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე, ამავდროულად გადაიგზავნა მერიაში რეკომენდაციების სახით.

ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნის თაობაზე:

- ,,2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღები წესის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი წინდადადებების განხილვის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში კომისია განიხილავდა შემოსულ კორესპონდენციებს, რომელთა შედეგებზე დაყრდნობითაც მომზადდა 10 ზე მეტი წინადადება და გადაეგზავნა მნუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირების მიზნით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გრძელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

კომისია გარკვეული პერიოდულობით ისმენდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშებს. აგრეთვე აფასებდა სანიტარული და ჰიგიენური ნორმების მდგომარეობას.

საანგარიშო პერიოდში აქტიურ კომუნიკაციას ვინარჩუნებდით არასამთავრობო ორგანიზაციებთან,რომლებსაც ააქვთ განსხვავებული ხედვები,დამოკიდებულებები და მიდგომები მთელი რიგი საკითხების მიმართ.

მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე რამდენჯერმე ვმონაწილეობდი სხვადასხვა ფორმატის ტრენინგ-სემინარებში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია მაღალი პასუხისმგებლობით, აქტიურობით, გულისხმიერებითა და ეფექტური მიდგომებით მომავალშიც განახორციელებს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-
კომისიის თავჯდომარე